**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/18

ქ. ბათუმი 02 მარტი, 2020 წ.

**„ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილების პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[1]“ ქვეპუნქტი:

**„თ[1]) გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო სამუშაოები სწავლების ყველა საფეხურზე შეჩერდეს 2020 წლის 02 მარტიდან 2020 წლის 16 მარტამდე.“**

2. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დარეგულირდეს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სასწავლო პროცესის წარმართვის საკითხი (ელექტრონული სწავლება, სტუდენტთა კონსულტაცია და სხვ.).
3. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**